




INNOX

We Do Finance

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა3-5

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება6

კონსოლიდირებული მოგება- ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება7

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....8

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები10-34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მნ კორპი“-ს ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მნ კორპი“-ს (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და კონსოლიდირებული სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის “პირობითი მოსაზრების საფუძველი” ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფის აუდიტორებად დავინიშნეთ 2024 წლის 16 სექტემბერს, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით 2023 წლის ბოლოს ჯგუფის მიერ ჩატარებულ მარაგების ინვენტარიზაციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავადასტურეთ 2023 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგების რაოდენობის სისწორე, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 910,098 ლარის ღირებულებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან მარაგებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობის ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მნ კორპი“-ს ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მნ კორპი“-ს (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და კონსოლიდირებული სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის “პირობითი მოსაზრების საფუძველი” ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფის აუდიტორებად დავინიშნეთ 2024 წლის 16 სექტემბერს, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით 2023 წლის ბოლოს ჯგუფის მიერ ჩატარებულ მარაგების ინვენტარიზაციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავადასტურეთ 2023 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგების რაოდენობის სისწორე, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 910,098 ლარის ღირებულებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან მარაგებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხედრადია 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენი:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხედრამა 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ

აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

25 დეკემბერი 2024

შპს „ინოქსი“ (ს/კ 404539674)



ირაკლი ჭილაძე
გარიგების პარტნიორი

აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-481994

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი - SARAS-A-509177

აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

25 დეკემბერი 2024

შპს „ინოქსი“ (ს/კ 404539674)

ირაკლი ჭილაძე
გარიგების პარტნიორი

აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-481994
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი - SARAS-A-509177

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	1-იან-2022 *გადაანგარიშებული
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	822,404	352,049	379,217
არამატერიალური აქტივები		22,917	33,072	53,235
ინვესტიციები	9	199,298,571	149,577,199	171,476,755
გაცემული სესხები	7	149,277,954	140,269,147	80,509,232
სულ გრძელვადიანი აქტივები		349,421,846	290,231,467	252,418,439
მარაგები	5	910,098	1,905,136	2,040,316
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6	35,880,131	60,361,024	117,260,119
წინასწარ გადახდილი ხარჯები		2,694,676	3,010,281	38,026,711
ინვესტიციების მიმდინარე ნაწილი	9	105,800,919	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	1,391,390	493,835	3,699,793
სულ მიმდინარე აქტივები		146,677,214	65,770,276	161,026,939
სულ აქტივები		496,099,060	356,001,743	413,445,378
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	10	121,863,553	102,972,096	85,262,724
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	136,511,434	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		258,374,987	102,972,096	85,262,724
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	68,282,884	80,218,451	173,153,462
საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებები	12	242,431	2,557,429	2,219,208
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე		84,614	64,163	77,923
მიღებული სესხების მიმდინარე ნაწილი	10	19,862,814	58,347,536	58,347,536
მიღებული ავანსები		10,294	8,497	23,470
სულ მიმდინარე ვალდებულებები		88,483,037	141,196,076	233,821,599
სულ ვალდებულებები		346,858,024	244,168,172	319,084,323
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	13	463,797	463,797	463,797
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		146,975,689	111,369,774	93,897,258
არამაკონტროლებელი წილი		1,801,550	-	-
სულ კაპიტალი		149,241,036	111,833,571	94,361,055
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		496,099,060	356,001,743	413,445,378

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022 *გადაანგარიშებული
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	36,139,620	164,006,369
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16	(31,780,305)	(154,094,770)
საერთო მოგება		4,359,315	9,911,599
საკომისიო შემოსავლები	15	14,043,418	30,963,661
სხვა საოპერაციო ხარჯი		(29,410)	(31,350)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	17	(3,777,456)	(4,235,770)
არასაოპერაციო შემოსავალი	18	17,048,222	10,296,876
არასაოპერაციო ხარჯი	19	(17,073,688)	(15,533,785)
კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		21,446,761	(5,124,041)
მოგება დაბეგვრამდე		36,017,162	26,247,190
მოგების გადასახადის ხარჯი		(8,884)	(1,143,616)
წმინდა მოგება		36,008,278	25,103,574
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წმინდა მოგება და სხვა სრული შემოსავალი		36,008,278	25,103,574
სულ წმინდა მოგება და სხვა სრული შემოსავალი მისაკუთვნიებული:			
ჯგუფზე		35,956,728	-
არამაკონტროლირებელ წილზე		51,550	-

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 6-34 გვერდის ჩათვლით დამტკიცებულია გამოსაშვებად და
ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 დეკემბერს

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

გურამ თალაკვაძე

ნინო ჩანადირი



შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022 *გადაანგარიშებული
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	36,139,620	164,006,369
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16	(31,780,305)	(154,094,770)
საერთო მოგება		4,359,315	9,911,599
საკომისიო შემოსავლები	15	14,043,418	30,963,661
სხვა საოპერაციო ხარჯი		(29,410)	(31,350)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	17	(3,777,456)	(4,235,770)
არასაოპერაციო შემოსავალი	18	17,048,222	10,296,876
არასაოპერაციო ხარჯი	19	(17,073,688)	(15,533,785)
კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		21,446,761	(5,124,041)
მოგება დაბეგვრამდე		36,017,162	26,247,190
მოგების გადასახადის ხარჯი		(8,884)	(1,143,616)
წმინდა მოგება		36,008,278	25,103,574
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წმინდა მოგება და სხვა სრული შემოსავალი		36,008,278	25,103,574
სულ წმინდა მოგება და სხვა სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი:			
ჯგუფზე		35,956,728	-
არამაკონტროლირებელ წილზე		51,550	-

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 6-34 გვერდის ჩათვლით დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 დეკემბერს

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

გურამ თალაკვაძე

ნინო ჩანადირი

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		36,008,278	25,103,574
კორექტირებები:			
საპროცენტო ხარჯი		16,099,989	14,257,834
საპროცენტო შემოსავალი		(15,801,478)	(10,164,048)
ცვეთა და ამორტიზაცია	17	70,100	-
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:			
ცვლილება მარაგებში	5	995,038	135,180
ცვლილება ინვესტიციებში		(155,522,291)	21,899,556
ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში	6	24,796,498	91,915,525
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში		(2,315,001)	338,219
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში	11	124,575,867	(92,935,011)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		28,907,000	50,550,829
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		28,907,000	50,550,829
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	8.9	(528,739)	(54,588)
შვილობილი/მეკავშირე კომპანიის შეძენა		(5,250,000)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(5,778,739)	(54,588)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სასესხო ვალდებულებების მიღება		63,036,550	21,212,661
სასესხო ვალდებულებების გადახდა		(84,916,443)	(67,283,802)
გადახდილი დივიდენდები		(350,813)	(7,631,058)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(22,230,706)	(53,702,199)
ნაშთი წლის დასაწყისში		493,835	3,699,793
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		897,555	(3,205,958)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	4	1,391,390	493,835

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	არამაკონტრ ოლებელი წილი	საწესდები კაპიტალი	აკუმულირებ ული მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	463,797	93,897,258	94,361,055
წმინდა მოგება და სხვა სრული შემოსავალი	-	-	25,103,574	25,103,574
გაცემული დივიდენდი	-	-	(7,631,058)	(7,631,058)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	463,797	111,369,774	111,833,571
წმინდა მოგება და სხვა სრული შემოსავალი	51,550	-	35,956,728	36,008,278
გაცემული დივიდენდი	-	-	(350,813)	(350,813)
არამაკონტროლებელი წილი	1,750,000	-	-	1,750,000
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,801,550	463,797	146,975,689	149,241,036

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შინაარსი

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა	12
3. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები	19
4. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
5. მარაგები	20
6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	21
7. გაცემული სესხები	21
8. ძირითადი საშუალებები	23
9. ინვესტიციები	24
10. მიღებული სესხები	24
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25
12. საგადასახადო ვალდებულებები	26
13. საწესდებო კაპიტალი	26
14. შემოსავალი რეალიზაციიდან	26
15. საკომისიო შემოსავლები	27
16. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	27
17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	27
18. არასაოპერაციო შემოსავალი	28
19. არასაოპერაციო ხარჯები	28
20. გაუთვალისწინებელი გარემოებები	28
21. ფინანსური რისკების მართვა	29
22. მოგების გადასახადი	33
23. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	34
24. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ	34

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1 ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „მნკორპი“ (ს/კ 416334167) (შემდგომში „ჯგუფი“) და მისი 100 %-იანი შვილობილი კომპანიების შპს სიხარული -1 (ს/კ 203858520) და შპს ლექსველის (ს/კ 401950297); (შემდგომში შვილობილი კომპანია) ფინანსურ ინფორმაციას.

არის 2017 წლის 1 მაისს, საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/კ 416334167). კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.რუსთავი, მერაბ კოსტავას გამზირი, კორპუსი 15ა, ბინა 2.

2024 წლის 5 აგვისტოდან კომპანიის 100 % წილის მფლობელი და დირექტორი არის ბატონი გურამ თალაკვაძე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მანგანუმის კონცენტრატის რეალიზაცია.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ქვეყნის მასშტაბით ფლობს 1 ადმინისტრაციულ ოფისს, რომელიც მდებარეობს იურიდიულ მისამართზე.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 23 თანამშრომელს (2022: 23 თანამშრომელს).

კომპანიის ინვესტიციები მოიცავს შემდეგს (ერთად მოხსენიებული, როგორც "ჯგუფი"):

შვილობილი კომპანიები:		წილი/ხმის უფლება (%)			ინვესტიციის ღირებულება		
		31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი
შპს „სიხარული-1“	საქმიანობა						
	მანგანუმის მადნის მოპოვება-რეალიზაცია	100%	100%	100%	3,352,930	3,352,930	3,352,930
შპს "ლექსველი"	მშენებლობა	75%	-	-	5,250,000	-	-

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში:		წილი/ხმის უფლება (%)			ინვესტიციის ღირებულება		
		31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი
შპს „ბლეკ სი სოლუმენი“	საქმიანობა						
	მანგანუმის მადნის მოპოვება-რეალიზაცია	100%	100%	100%	148,879,340	149,576,848	171,476,405

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია არსებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ჯგუფის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება საანგარიშგებო თარიღში ხორციელდება ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ გადაფასდება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები საანგარიშგებო პერიოდში:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2.69	2.98
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.70	2.88

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევისაა სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, ჯგუფი სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

10 -34 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც ჯგუფმა შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად ჯგუფის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქცეითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქცეითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქცეითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდით, რადგან იგი ყველაზე მეტად ასახავს აქტივიდან მიღებულ სამომავლო ეკონომიკური სარგებლის

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მოსალოდნელ ათვისებას. ძირითადი საშუალებების ცვეთი განაკვეთები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

აქტივის ჯგუფი	ცვეთის განაკვეთი
სატრანსპორტო საშუალებები	10-13%
კომპიუტერული ტექნიკა	20-33%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	16-20%

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი, (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ყოველწლიურად. საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდის საფუძველზე 7-8% განაკვეთით. ჯგუფი არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

გუდვილი

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

გუდვილი წარმოადგენს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც წარმოიქმნა საქმიანი ბიზნეს კომბინაციის საფუძველზე, რომელიც ინდივიდუალურად არ არის განსაზღვრული და ცალკე აღიარებული. გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილ მეთოდს და მოიცავს შემენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახადი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც ჯგუფში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

10 -34 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მზა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი შეასრულებს ნაკისრ მოვალეობას, ე.ი. დროის იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი მყიდველს გადაეცემა, როგორც წესი, საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე.

როდესაც მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების პროცესში სხვა მხარე მონაწილეობს, საწარმომ უნდა განსაზღვროს, რას წარმოადგენს მისი დაპირება: არის თუ არა ეს შესასრულებელი ვალდებულება, რომლის თანახმად მან თვითონ უნდა უზრუნველყოს მომხმარებლისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდება (ე.ი. მოცემული საწარმო გამოდის პრინციპალის როლში), თუ მას სხვა მხარისთვის ევალება ამ საქონლის ან მომსახურების მიწოდების ორგანიზება (ე.ი. მოცემული საწარმო გამოდის აგენტის როლში).

საწარმო არის პრინციპალი, თუ თვითონ აკონტროლებს დაპირებულ საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე.

ჯგუფმა დაასკვნა, რომ შემოსავალთან დაკავშირებულ გარიგებებში პრინციპალის სახით გამოდის, ვინაიდან, როგორც წესი, საქონელს თვითონ აკონტროლებს მომხმარებლებისთვის გადაცემამდე. კრედიტის სტანდარტული ვადა საქონლის გადაცემიდან 30-90 დღეა.

პროდუქციის კონსიგნაციით გაყიდვის დროს, შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაეცემა საბოლოო მომხმარებელს, ან გარკვეული ვადის გასვლისას, რომლის განმავლობაშიც საცალო მოვაჭრეს შეუძლია გაუყიდავი საქონლის დაბრუნება.

შემოსავლის აღიარება მზა პროდუქციის გაყიდვასთან დაკავშირებით ხდება იმისდა მიხედვით, თუ რა ოდენობის ანაზღაურების მიღებას მოელის ჯგუფი ამ საქონლის სანაცვლოდ. გარიგების ფასი კორექტირდება მომხმარებლისთვის გადასახდელი თანხით (მაგალითად, სავაჭრო ადგილის ჰგადასახადი - ჯგუფის პროდუქციისთვის თაროებზე ადგილის გამოყოფისთვის მომხმარებლისთვის გადახდილი თანხები) და მოცულობის გამო შეთავაზებული ფასდაკლებების მიხედვით.

ცვალებადი ანაზღაურება

თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება ცვალებად თანხასაც შეიცავს, ჯგუფი გამოითვლის ანაზღაურების თანხას, რომლის მიღების უფლებაც ექნება მომხმარებლისთვის საქონლის გადაცემის სანაცვლოდ.

ცვალებადი ანაზღაურება განისაზღვრება კონტრაქტის გაფორმებისას და შეზღუდულია, ვიდრე არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ შემოსავლის მნიშვნელოვანი შემობრუნება აღიარებული ერთობლივი შემოსავლის ოდენობით არ მოხდება, როდესაც შესაბამის ცვალებად ანაზღაურებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა საბოლოოდ აღმოიფხვრება. მზა პროდუქციის გაყიდვის ზოგიერთი ხელშეკრულება მომხმარებელს საქონლის დაბრუნების უფლებას აძლევს.

დაბრუნების უფლება

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მზა პროდუქციის გაყიდვის ზოგიერთი ხელშეკრულება მომხმარებელს საქონლის დაბრუნების უფლებას აძლევს გარკვეულ ვადაში. ჯგუფი მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით აფასებს, რა საქონელი არ დაბრუნდება, რადგან ეს მეთოდი ყველაზე ზუსტად პროგნოზირებს ცვლადი ანაზღაურების ოდენობას, რომელსაც ჯგუფი მიიღებს.

სახელშეკრულებო ნაშთები

სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივი არის საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემის სანაცვლოდ მათი ღირებულების მიღების უფლება. თუ ჯგუფი მომხმარებელს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებლის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება მიღებული პირობითი ღირებულებისთვის. ჯგუფს არ აქვს სახელშეკრულებო აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება, თუ ანაზღაურების თანხა უპირობოდ არის მისაღები მომხმარებლისგან (ანუ მხოლოდ დროის გასვლა აუცილებელი ანაზღაურების გადახდის თარიღის დადგომამდე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება ხდება მაშინ, თუ მომხმარებლისგან მიიღება გადახდა ან გადახდის ვადა მოდის (რომელიც უფრო ადრე დგება), ვიდრე ჯგუფი გადასცემს მას შესაბამის საქონელს ან მომსახურებას.

სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება შემოსავლად ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას (ანუ კონტროლს შესაბამის საქონელსა თუ მომსახურებაზე მომხმარებელს გადასცემს).

საპროცენტო შემოსავალი

ჯგუფის სხვა ფინანსურ შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალს ადგილობრივ კომპანიებზე გაცემული სესხებისგან. ჯგუფი შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ჯგუფი იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო მონაცემები.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

დონე 1 - იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით;

დონე 2 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი და არაპირდაპირი განსაზღვრა;

დონე 3 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შესაძლებლობისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის განსაზღვრა.

2.1 შესადარისი ინფორმაცია

შესადარისი ინფორმაცია დაკორექტირებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის ხელმძღვანელობამ შემდეგი შეცდომა იპოვა:

ინვესტიციები:

2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ 2021 წელს აღიარებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ იყო შემცირებული დივიდენდებით 9,061,400 აშშ დოლარი (25,450,740 ლარი), რამაც გავლენა მოახდინა წარდგენილი ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაზე ლარში და კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალზე). ჯგუფის მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების შესადარისი მონაცემების გადანგარიშების შესახებ, კერძოდ 2022 წლის 1 იანვრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებებში, რამაც გავლენა მოახდინა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობისა და მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებებზე:

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

შემდეგ ცხრილში შეჯამებულია გავლენა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებზე:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
1 იანვარი 2022	ადრე წარმოდგენილის შესაბამისად	კორექტირებები	გადაანგარიშებული შესაბამისად
ინვესტიციები	221,666,910	(50,190,155)	171,476,755

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
31 დეკემბერი 2022	ადრე წარმოდგენილის შესაბამისად	კორექტირებები	გადაანგარიშებული შესაბამისად
ინვესტიციები	221,666,910	(72,089,711)	149,577,199

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება			
2022	ადრე წარმოდგენილის შესაბამისად	კორექტირებები	გადაანგარიშებული შესაბამისად
კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	16,773,265	(21,899,556)	(5,126,291)

3 IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა და შესწორებების, თუმცა მათ გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანის ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის შესწორებები).
- ▶ მომწოდებელთა საფინანსო გარიგებები (ბასს 7-ისა და ფასს 7-ის შესწორებები).
- ▶ საიჯარო ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (ფასს 16-ის შესწორებები);
- ▶ გაცვლის საშუალების არარსებობა (ბასს 21-ის შესწორებები).

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

4 ფული და ფულის ეკვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან.

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,391,390	493,835
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,391,390	493,835

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
ქართული ლარი (GEL)	75,912	460,310
აშშ დოლარი (USD)	1,099,904	32,290
ევრო (EUR)	215,541	1,201
ფუნტი სტერლინგი (GBP)	34	34
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,391,390	493,835

არ არის არსებითი განსხვავება ფულის და ფულის ეკვივალენტების სამართლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის.

5 მარაგები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
მზა პროდუქცია	885,889	904,743
საწვავი	1,077	3,269
ატრაქციონი	-	974,422
სხვა მარაგები	23,132	22,700
სულ მარაგები	910,098	1,905,136

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

6 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
მოთხოვნები ადგილობრივი მიწოდებიდან	39,574,176	56,488,549
მოთხოვნები უცხოური მიწოდებიდან	2,848	12,667,727
სხვა მოთხოვნები	8,967,973	3,869,614
უიმედო ვალების ხარჯი	(12,664,866)	(12,664,866)
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	35,880,131	60,361,024

ცვლილება საექვო ვალების რეზერვში

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
ბალანსი ნაშთი 1 იანვრისთვის	12,664,866	11,388,915
პლიუს: მიმდინარე პერიოდის საექვო ვალები	-	1,275,951
მინუს: მიმდინარე პერიოდში ჩამოწერილი უიმედო ვალები		
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	12,664,866	12,664,866

7 გაცემული სესხები

ჯგუფის გაცემული სესხები შედგება იურიდიულ პირებზე გაცემული სესხებისგან.

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
სესხის ძირი	135,746,966	125,681,236
დარიცხული პროცენტები	13,530,988	14,587,912
სულ გაცემული სესხები	149,277,954	140,269,147

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

გაცემული სესხები ვალუტების მიხედვით იხილეთ ქვემოთ მოყვანილ ცხილში:

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
ქართული ლარი	49,593,731	72,648,346
აშშ დოლარი	99,129,809	67,384,516
ევრო	554,414	236,286
სულ გაცემული სესხები	149,277,954	140,269,147

31-დეკ-2023

გრძელვადიანი ნაწილი	პერიოდი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თანხა ლარში
ფიზიკური პირები	01.01.2018-31.12.2025	8%-20%	ლარი/აშშ დოლარი/ევრო	688,065
იურიდიული პირები	01.01.2018-31.12.2025	8%-20%	ლარი/აშშ დოლარი/ევრო	148,589,889
სულ				149,277,954

31-დეკ-2022

გრძელვადიანი ნაწილი	პერიოდი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თანხა ლარში
ფიზიკური პირები	01.01.2018-31.12.2025	8%-20%	ლარი/აშშ დოლარი/ევრო	22,558,422
იურიდიული პირები	01.01.2018-31.12.2025	8%-20%	ლარი/აშშ დოლარი/ევრო	117,710,726
სულ				140,269,147

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

8 ძირითადი საშუალებები

	მიწა	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	-	416,089	38,437	28,431	482,957
დამატება	-	-	54,588	-	54,588
გასვლა	-	-	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	-	416,089	93,026	28,431	537,546
დამატება	490,315	25,517	12,908	-	528,739
გასვლა	-	-	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	490,315	441,606	105,934	28,431	1,066,285
დაგროვილი ცვეთა					
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	-	(83,816)	(14,048)	(5,877)	(103,741)
დამატება	-	(41,125)	(17,308)	(1,013)	(59,447)
გასვლა	-	(22,309)	-	-	(22,309)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	-	(147,250)	(31,356)	(6,890)	(185,497)
დამატება	-	(38,608)	(18,245)	(1,531)	(58,383)
გასვლა	-	-	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	(185,858)	(49,601)	(8,421)	(243,880)
ნარჩენი ღირებულება					
2022 წლის 1 იანვარს	-	332,273	24,389	22,554	379,217
2022 წლის 31 დეკემბერს	-	268,838	61,670	21,541	352,049
2023 წლის 31 დეკემბერს	490,315	255,747	56,332	20,010	822,404

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

9 ინვესტიციები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
ობლიგაციები	156,219,800	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	148,879,690	149,577,199
სულ ინვესტიციები	305,099,490	149,577,199

ჯგუფის ფინანსურ აქტივები და მათ შორის ობლიგაციები დაკლასიფიცირდა შემდეგ კატეგორიად: „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ობლიგაციები

გრძელვადიანი ნაწილი	პერიოდი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	ობლიგაციის ძირითადი თანხა ლარში	დარიცხული სარგებელი თანხა ლარში	სულ ობლიგაციები
D კლასის ობლიგაციები	31-დეკ-2031	3%	ევრო	24,209,747	471,118	24,680,866
E კლასის ობლიგაციები	31-დეკ-2031	4%	ევრო	12,020,307	302,019	12,322,326
F კლასის ობლიგაციები	31-დეკ-2031	4%	ევრო	13,086,872	328,817	13,415,689
სულ გრძელვადიანი ნაწილი				49,316,927	1,101,954	50,418,881

მიმდინარე ნაწილი	პერიოდი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	ობლიგაციის ძირითადი თანხა ლარში	დარიცხული სარგებელი თანხა ლარში	სულ ობლიგაციები
C კლასის ობლიგაციები	31-დეკ-2024	4%	ევრო	103,207,748	2,593,171	105,800,919
სულ მიმდინარე ნაწილი				103,207,748	2,593,171	105,800,919

10 მიღებული სესხები

ჯგუფის მიღებული სესხები ძირითადად შედგება ფიზიკური და იურიდიული მიღებული სესხებისგან. აღნიშნული სესხები დენომინირებულია ლარში და აშშ დოლარში.

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
გადასახდელი ძირითადი	117,531,794	142,296,316
გადასახდელი პროცენტი	24,194,573	19,023,316
სულ მიღებული სესხები	141,726,367	161,319,632

10 -34 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

31-დეკ-2023 მდგომარეობით

გრძელვადიანი ნაწილი	პერიოდი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თანხა ლარში
სხვა იურიდიული პირები	11/02/2021- 31/12/2025	8.00%	აშშ დოლარი	97,668,980
სულ				97,668,980

მიმდინარე ნაწილი	პერიოდი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თანხა ლარში
სს თიბისი ბანკი	03/25/2019- 03/22/2024	8.56%	აშშ დოლარი	164,314
სხვა იურიდიული პირები	2020-2024	8%-13.3%	აშშ დოლარი	9,698,500
		8%-13.3%	ქართული ლარი	10,000,000
სულ მიღებული სესხები				19,862,814

31-დეკ-2022 მდგომარეობით

გრძელვადიანი ნაწილი	პერიოდი	საპროცენტო განაკვეთი	კურსი	თანხა ლარში
სს თიბისი ბანკი	03/25/2019- 03/22/2024	8,56%	აშშ დოლარი	552,540
სხვა იურიდიული პირები	11/02/2021- 31/12/2025	8,00%	აშშ დოლარი	83,396,240
სულ				83,948,780

მიმდინარე ნაწილი	პერიოდი	საპროცენტო განაკვეთი	კურსი	თანხა ლარში
სს თიბისი ბანკი	03/25/2019- 03/22/2024	8,56%	აშშ დოლარი	227,968
სხვა იურიდიული პირები	2020-2023	8%-13,3%	აშშ დოლარი/ქართული ლარი	58,119,568
სულ				58,347,536

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
ვალდებულებები ადგილობრივი მომწოდებლების მიმართ	68,282,884	80,218,451
ფინანსური ვალდებულებები*	136,511,434	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	204,794,318	80,218,451

10 -34 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

*ფინანსური ვალდებულებები დაკავშირებულია 2023 წლის 11 აპრილს ჯგუფის მიერ მესამე მხარისგან შეძენილ ობლიგაციებთან (ინვესტიციებთან). ფინანსური ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება ბონდების განაღდების შემდგომ პერიოდში. ფინანსური ვალდებულებები აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. თავდაპირველად შეფასებულია დისკონტირებული ღირებულებით. ხელშეკრულების პირობების მიხედვით ფინანსური ვალდებულებები უნდა დაიფაროს 2032 წელს. ფინანსური ვალდებულების ძირი და დარიცხული სარგებელი შეადგენს: 132,984,973 და 3,526,461 ლარს (2022:0 ლარი).

12 საგადასახადო ვალდებულებები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
მოგების გადასახადი	790,949	3,060,433
საშემოსავლო გადასახადი	(4,682,097)	(4,657,196)
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	45,341	41,774
დამატებული ღირებულების გადასახადი	4,208,298	4,232,480
აქციზი	(120,061)	(120,061)
სულ საგადასახადო ვალდებულებები	242,431	2,557,429

13 საწესდებო კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 463,797 ლარს (2022: 463,797 ლარი).

14 შემოსავალი რეალიზაციიდან

ჯგუფის ძირითადი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს მანგანუმის კონცენტრატის რეალიზაცია. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია ჯგუფის შემოსავლების შესახებ:

შემოსავალი რეალიზაციიდან	2023	2022
შემოსავალი მანგანუმის კონცენტრატის რეალიზაციიდან	36,139,620	164,006,369
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	36,139,620	164,006,369

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

15 საკომისიო შემოსავლები

საკომისიო შემოსავლები	2023	2022
საკომისიო შემოსავლები მანგანუმის კონცენტრატის შეგროვებიდან	14,043,418	30,963,661
სულ საკომისიო შემოსავლები	14,043,418	30,963,661

16 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2023	2022
მანგანუმის მადნის თვითღირებულება	31,780,305	154,094,770
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	31,780,305	154,094,770

17 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	3,395,854	3,813,841
საპენსიო შენატანის ხარჯი	31,625	38,081
საკონსულტაციო ხარჯი	129,410	114,780
ბანკის მომსახურების საკომისიო	10,564	75,387
ცვეთა და ამორტიზაცია	70,100	74,756
ოფისის დაცვის ხარჯი	71,272	64,133
საკომუნიკაციო ხარჯები	9,973	9,743
საოფისე ხარჯი	1,371	114
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	57,287	44,935
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	3,777,456	4,235,770

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

18 არასაოპერაციო შემოსავალი

არასაოპერაციო შემოსავალი	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	15,801,478	10,164,048
შემოსავალი გასართობი ატრაქციონის რეალიზაციიდან	976,322	-
შემოსავალი კომპანიის ხელსაყრელი შესყიდვიდან	268,022	-
სხვა შემოსავალი	2,400	132,829
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	17,048,222	10,296,876

19 არასაოპერაციო ხარჯები

არასაოპერაციო ხარჯები	2023	2022
საპროცენტო ხარჯი	16,099,989	14,257,834
უიმედო ვალების ხარჯი	-	1,275,951
გასართობი ატრაქციონის ჩამოწერა	973,699	-
სულ არასაოპერაციო ხარჯები	17,073,688	15,533,785

20 გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია ჯგუფს დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ჯგუფისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

21 ფინანსური რისკების მართვა

საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით შეიძლება იდგეს სხვადასხვა რისკების წინაშე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

31 დეკემბერი, 2023	ლარი	აშშ დოლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	75,912	1,099,904
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	35,880,131	-
გაცემული სესხები	49,593,731	99,129,809
სულ	85,549,774	100,229,713
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	68,282,884	136,511,434
მიღებული სესხები	48,000,000	93,726,367
სულ	116,282,884	230,237,801
წმინდა სავალუტო პოზიცია	(30,733,110)	(130,008,088)

31 დეკემბერი, 2022	ლარი	აშშ დოლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	460,310	32,290
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	60,267,041	-
გაცემული სესხები	72,648,346	67,384,516
სულ	133,375,697	67,416,806
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	80,218,451	-
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	64,163	-
მიღებული სესხები	38,000,000	123,319,632
სულ	118,282,614	123,319,632
წმინდა სავალუტო პოზიცია	15,093,082	(55,902,826)

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან. კომპანია განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძნობიარობას.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში:

31 დეკემბერი 2023	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-თ გამყარება	(117,007,279)
აშშ დოლარის 10%-თ გაუფასურება	117,007,279

31 დეკემბერი 2022	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-თ გამყარება	(50,312,543)
აშშ დოლარის 10%-თ გაუფასურება	50,312,543

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს. ხელმძღვანელობა ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2023 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი.

	1 წელზე >	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე <	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	1,391,390	-	-	1,391,390
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	35,880,131	-	-	35,880,131
ინვესტიციები	105,800,919	-	199,298,571	305,099,490
გაცემული სესხები	-	-	149,277,954	149,277,954
აქტივები	143,072,440	-	-	491,648,965
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	68,282,884	-	136,511,434	204,794,318
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	84,614	-	-	84,614
მიღებული სესხები	19,862,814	-	121,863,553	141,726,367
ვალდებულებები	88,230,312	-	258,374,987	346,605,299
ბალანსი	54,842,128	-	(258,374,987)	145,043,666

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი.

	1 წელზე >	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე <	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	493,835	-	-	493,835
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	60,361,024	-	-	60,361,024
გაცემული სესხები	140,269,147	-	-	140,269,147
აქტივები	201,124,006	-	-	201,124,006
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	80,218,451	-	-	80,218,451
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	64,163	-	-	64,163
მიღებული სესხები	66,147,904	95,171,728	-	161,319,632
ვალდებულებები	146,430,518	95,171,728	-	241,602,246
ბალანსი	54,693,488	(95,171,728)	-	(40,478,240)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადი კომპანიის მიერ.
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად.
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში.
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წილი მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარაჟი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში როგორც 2023 წლის დასაწყისში ასევე 2023 წლის ბოლოს.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცდილ დღეებზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაფუძნებულია მისი პირველადი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკის ცვლილებაზე.

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ზარალის ანარიცხი ითვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით. ა) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის. ბ) არსებობის მანძილზე არსებული საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას.

იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდგომ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, კომპანია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისთვის იყენებს 12 თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომას.

კაპიტალის მართვა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

22 მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

2023 საანგარიშგებო წლისთვის ჯგუფის მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს 8,884 ლარს (2022: 1,143,616 ლარს).

შპს „მნკორპი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

24 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციები:	2023	2022
ხელფასის ხარჯი	344,987	369,133
შესყიდვები	-	11,402,511
მიღებული მომსახურების ხარჯი	33,235,903	107,550,643
საპროცენტო შემოსავალი	3,800,954	3,424,238
საპროცენტო ხარჯი	2,058,292	1,833,834
ნაშთები :	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5,341,329	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	54,387,274	-
გადასახდელი ხელფასები	3,062	-
მიღებული სესხები	33,374,491	19,173,355
გაცემული სესხები	87,282,147	70,909,475

25 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

2024 წლის 2 აგვისტოს ჯგუფის მესაკუთრე და დირექტორი გახდა ბატონი გურამ თალაკვაძე.

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაში.



Info@inox.ge



34 I.Abashidze str.



შპს მნკორპის 2023 წლის ინდივიდუალური/კონსოლიდირებული

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი საქმიანობა

შპს მნ კორპი, ს/ნ 416334167, მისამართი ქ. რუსთავი, მ. კოსტავას გამზ. #15ა, დაფუძნდა 2017 წლის 01 მაისს. როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირის საქმიანობის სფეროს შეადგენს ძირითადად მანგანუმის მადნის მოპოვება, სილიკომანგანუმის და შემდგომ რეალიზაცია.

მადნის შესყიდვა ხდება ადგილობრივ ბაზარზე, ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიის შპს ჯორჯიან მანგანუმისგან; რეალიზაციაც ხდება ადგილობრივ ბაზარზე, წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებით (ტექნოლოგიური ხაზისა და ლაბორატორიით) აღჭურვილ კომპანიებზე; ხოლო ადგილობრივ კომპანიებზე რეალიზებული საქონლის დიდი ნაწილი, რასაც შემდგომ ზოგიერთი გადაამუშავებს, შემდგომ უკვე გადის ექსპორტზე, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს არა მხოლოდ კონკრეტული რეგიონის, არამედ მთელი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებას.

კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს კვალიფიციური კადრების შერჩევას, თანამშრომლებისთვის სტაბილურობის უზრუნველყოფას, მოტივირებას, საოპერაციო ეფექტიანობისა და გაცემული დივიდენდების ზრდას.

კომპანიის განვითარების გეგმები

ჩვენი მისიაა, ცვალებად ბაზარზე არსებული მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება; ამისათვის ვავითარებთ გრძელვადიან და საიმედო ურთიერთობას ადგილობრივ პარტნიორებთან, რომ საერთაშორისო ბაზარზე კომპანიამ უზრუნველყოს საუკეთესო (მაღალი ხარისხის) პროდუქციის მიწოდება.

ჩვენ მკაფიოდ გვაქვს განსაზღვრული კომპანიის მიზნები და დიდი შემართებით ვცდილობთ მათ განხორციელებას.

ერთ-ერთი ძირითადი მიზანია არსებული შემოსავლის გაზრდა, რისთვისაც აქტიურად მუშაობს მარკეტინგი; ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენს ვალდებულებებს და ვიღებთ პასუხისმგებლობას თითოეულ გადადგმულ ნაბიჯზე; ჩვენი მიზანია შევთავაზოთ საზოგადოებას დასაქმების ხარისხიანი, სტაბილური სისტემა; კომპანიაში მკვეთრად ჩამოყალიბებული უფლება-მოვალეობები, გაწერილი პროცესების ინსტრუქციები, რაც უზრუნველყოფს საოპერაციო საქმიანობის სწორ, გამართულ და უწყვეტ პროცესს. კომპანია მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ კუთხით. პროცესების დახვეწის მიზნით ვთანამშრომლობთ უცხოელ კონსულტანტებთან.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

შპს მნ კორპის საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებსაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე, არის ფინანსური რისკები. ფინანსური რისკის სხვადასხვა

შპს მნკორპი, საიდენტიფიკაციო ნომერი: 416334167

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. რუსთავი, მ.კოსტავას გამზ., კორ. 15ა, ბ. 2

ოფისი: დ. აღმაშენებლის გამზირი #150



ფაქტორებს შორისაა - უცხოური ვალუტის კურსი (კონტრაქტები ძირითადად ფიქსირდება ვალუტაში), საპროცენტო განაკვეთების ცვლილება, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

პროდუქტის ფასის ცვალებადობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რისკ-ფაქტორია. გასაყიდ ფასს განაპირობებს საერთაშორისო ბაზარზე არსებული ფეროშენადნობი პროდუქციის მოთხოვნა/მიწოდების მდგომარეობა (საერთაშორისო საიტი CRU INTERNATIONAL LTD). გასაყიდი ფასის მაჩვენებელიც ხელმისაწვდომია იმავე საიტზე, სადაც ყოველი თვის ბოლოს იდება ფეროსილიკომანგანუმის გასაყიდი ფასი და ამ ფასით ხელმძღვანელობს საერთაშორისო ბაზარზე მოქმედი ყველა კომპანია.

სამართლებრივი რისკები, რაც შეიძლება წარმოიქმნას საგადასახდო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიამ შეიძინა 2021 წლის 02 აპრილს შპს ბლექ სი სოლუმენის 50 % წილი 64,419,227 აშშ დოლარად, მისი მისამართია ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის #12, ძირითადი საქმიანობაა სილიკომანგანუმის შემენა-რეალიზაცია.

შპს „მნკორპმა“ 2023 წლის 12 სექტემბერს შეიძინა შპს ლექსველი -ს 75 % წილი. შპს ლექსველი არის 2010 წლის 9 სექტემბერს, საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/კ 401950297). კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ხევძმარის ქ., N 15., ძირითადი საქმიანობაა ფართების იჯარა-რეალიზაცია.

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

სუბიექტს ფილიალები არ გააჩნია.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2023 წლის განმავლობაში კომპანიას არ ჩაუტარებია მის განვითარებასთან დაკავშირებული კვლევები.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები შეგიძლიათ იხილოთ თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო გარემო

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის შეიარაღებული კონფლიქტის და რიგი ქვეყნების მიერ დაწესებულმა სანქციებმა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ გავლენა მოახდინეს არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზეც. სანქციების შედეგად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიზარდა ფასები ყველა ტიპის პროდუქციაზე, მათ შორის წარმოებისთვის აუცილებელ საქონელსა და ოპერირებისთვის საჭირო ტექნიკასა და მარაგ-ნაწილებზე. დაირღვა არსებული კავშირები

შპს მნკორპი, საიდენტიფიკაციო ნომერი: 416334167

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. რუსთავი, მ.კოსტავას გამზ., კორ. 15ა, ბ. 2

ოფისი: დ. აღმაშენებლის გამზირი #150



რესურსების მიწოდებას შორის, ასევე ფასებზე იქონია გავლენა ინფლაციამაც. მიუხედავად იმისა, რომ ომის დაწყებიდან გავიდა გარკვეული დრო, გავლენა კვლავ იგრძნობა.

მიუხედავად კომპანიის წინაშე არსებული გამოწვევებისა და რთული ბიზნეს გარემოსი მენეჯმენტი ეფექტურად წარმართავს მის საქმიანობას.

დირექტორი

გურამ თალაკვაძე



შპს მნკორპი, საიდენტიფიკაციო ნომერი: 416334167
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. რუსთავი, მ.კოსტავას გამზ., კორ. 15ა, ბ. 2
ოფისი: დ. აღმაშენებლის გამზირი #150